Ambassade de France en Géorgie

Centre Culturel Français Alexandre Dumas

სპეციალური სამედიცინო განათლება უცხოელი ექიმებისა და ფარმაცევტებისთვის განცხადების ბოლო ვადა 15/01/2011

ქართველ ექიმებსა და ფარმაცევტებს (დონე 2), აქვთ საშუალება, გააგრძელონ და სრულყონ თავისი განათლება საფრანგეთში 2011-2012 სასწავლო წელს.

ეს შეთავაზება ეხება იმ დიპლომის მქონე უცხოელ, მათ შორის ქართველ ექიმებსა და ფარმაცევტებს, რომლებიც მათ საკუთარ ან დიპლომის გამცემ ქვეყანაში პროფესიული საქმიანობის უფლებას აძლევს. კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ ფრანგული ენის ცოდნის სერტიფიკატი (TCF/TEF) ან DELF-ის დიპლომი. სხვა შემთხვევაში კანდიდატებმა, რომლებმაც გაიარეს ფრანგული ენის კურსები, შეუძლიათ წარმოადგინონ შესაბამისი დაწესებულების მიერ გაცემული მოწმობა.

ექიმები ან ფარმაცევტები, რომლებიც აკმაყოფილებენ ზემოთ ჩამოთვლილ პირობებს და ჯერ კიდევ იღებენ სამედიცინო ან ფარმაცევტულ სპეციალურ განათლებას, შეუძლიათ ჩაეწერონ სპეციალური სამედიცინო განათლების (DFMS) დიპლომზე, რომელიც მათ საშუალებას მისცემს გააგრძელონ სწავლა საფრანგეთში 2011 წლის ნოემბრიდან. სწავლა გრძელდება ორიდან ექვს სემესტრამდე. რაც შეეხება ექიმებს ან ფარმაცევტებს, რომლებიც აკმაყოფილებენ ზემოთ ჩამოთვლილ პირობებს, მათ შეუძლიათ ჩაეწერონ გაღრმავებული სპეციალური სამედიცინო განათლების (DFMSA) დიპლომზე, ერთიდან ორ სემესტრამდე ხანგრძლივობით.

პროცედურა და კალენდარი

დაინტერესებულმა კანდიდატებმა (მათ შორის, თანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში წარდგენილებმა) « დოსიე 1 » უნდა გაიტანონ ა. დიუმას ფრანგული კულტურის ცენტრიდან, გუდიაშვილის ქ. 10, 0105, თბილისი, ან ჩამოტვირთონ სტრასბურგის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ვებგვერდიდან (http://www-ulpmed.u-strasbg.fr/) 2010 წლის 1 დეკემბრიდან.

საბუთების ჩამონათვალი :

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მკაფიო ასლი ;
- საბუთების ჩაბარებამდე მაქსიმუმ 6 თვით ადრე გაცემული ეროვნების დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი ;
- შესაბამისი დაწესებულების მიერ შედგენილი განვლილი სპეციალური განათლების დეტალური პროგრამა ;
- მოტივაციის წერილი ;

იმ კანდიდატებისათვის, ვინც DFMS-ის დიპლომზე აბარებს :

- ექიმის ან ფარმაცევტის დიპლომის ასლი, რომელიც მის ქვეყანაში პროფესიით მუშაობის ნებას იძლევა ;

Ambassade de France en Géorgie

Centre Culturel Français Alexandre Dumas

- განცხადება იმის თაობაზე, რომ კანდიდატს არ აქვს არც სპეციალიზაციის დიპლომი არც საუნივერსიტეტო დამატებითი სპეციალური დიპლომი, არც გაღრმავებული სპეციალური სწავლების ცნობა და არც სპეციალური სწავლების ცნობა ;
- ცნობა სასწავლებიდან, რომ კიდევ სტუდენტია ;
- სასწავლო დაწესებულების დირექტორის თანხმობის წერილი, რომელშიც მითითებულია :

- საავადმოფო პრაქტიკაში გასავლელი სემესტრების რაოდენობა სპეციალობის დიპლომის მოსაპოვებლად ;
- საფრანგეთში სწავლის პერიოდში მისაღწევი პედაგოგიური მიზნები და დასტური, რომ ეს უკანასკნელი ჩაეთვლება სპეციალობის მოსაპოვებლად.

<u>იმ კანდიდატებისათვის, ვინც DFMSA-ს დიპლომზე აბარებს :</u>

- ექიმის ან ფარმაცევტის დიპლომის ასლი ;
- დიპლომის ან ექიმის ან ფარმაცევტის სპეციალისტის მოწმობის ასლი რომელიც პროფესიით მუშაობის ნებას იძლევა დიპლომის გაცემის ქვეყანაში

<u>იმ კანდიდატებს, რომლებიც უნივერსიტეტთაშორისი თანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში წარადგენენ საბუთებს,</u> მოეთხოვებათ ცნობა ანაზღაურებადი სამუშაო ადგილის შექმნის თაობაზე, ხელმოწერილი სწავლისა და კვლევის ცენტრის დირექტორის მიერ და მიმღები სამედიცინო დაწესებულების ან საუნივერსიტეტო საავადმყოფო ცენტრის დირექტორის მიერ.

ჩამოთვლილი დოკუმენტების ასლებზე უნდა ფიგურირებდეს წარწერა, « ვადასტურებ დოკუმენტში აღნიშნული ინფორმაციის სიზუსტეს », ასევე თარიღი და კანდიდატის ხელმოწერა. უცხო ენაზე შედგენილ დოკუმენტებს უნდა ახლდეს ფრანგული თარგმანი, საფრანგეთში ლიცენზირებული მთარგმნელის მიერ ან დამოწმებული საფრანგეთის საელჩოს მიერ.

სრული, ორ ეგზემპლიარად წარმოდგენილი « დოსიე **1** » <u>უნდა გადაეცეს ა. დიუმას ფრანგული კულტურის ცეტრს,</u> გუდიაშვილის ქ. 10, 0105 თბილისი, 2011 წლის 15 იანვრამდე. საბუთების შემოტანის იგივე პროცედურა უნდა გაირონ უნივერსიტეტთაშორისი თანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში წარმოდგენილმა კანდიდატებმა. გთხოვთ, საბუთების შემოსატანად <u>წინასწარ დანიშნოთ შეხვედრა</u> <u>წერილობით</u> შემდეგ ელ.მისამართზე : **universitaire@ccf-tbilisi.ge.**

<u>არანაირი ინფორმაცია არ გაიცემა ტელეფონით არც საელჩოს მხრიდან არც ფრანგული კულტურის ცენტრის მხრიდან. მხოლოდ ელექტრონული ფოსტით მიღებულ წერილებს გაეცემათ პასუხი.</u>